პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 246 (5536)
1975 წ. 11 დეკემბერი, ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთან არის

უმშვენიერესი დღესასწაული — ასე შეიძლება ვუწოდოთ ქალის საერთაშორისო წელს. იგი თითქოს ატმის ყვავილებში დაიბადა, ხაკადულების რაკრაკში, გაზაფხულის მაცოცხლებელ სხივებში, ჩვილი ბავშვის ბაგეზე ათამაშებულ ღიმილში, იავნანაში...

ქალი — დედა, ქალი — დიასახლისი, ქალი — მუშა და კოლმეურნე, ქალი — მოღვაწე, ქალი — სპორტსმენი... დიახ, სამართლიანად ამბობენ, რომ არ დარჩენილა საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი დარგი, რომლის წინსვლაშიც ჩვენი სახელოვანი ქალები არ მონაწილეობდნენ, თავიანთი გულისა და ხელების სითბოსა და სინაზეს არ აქსოვდნენ, არ ამშვენებდნენ და ამკობდნენ ჩვენს ყოველდღიურ ყოფას.

ქალის საერთაშორისო წელს მაინც განსაკუთრებული მოკრძალებითა და პატივისცემით განვიმსჭვალეთ მათი კეთილშობილური საქმიანობისადმი, იმ მარადიული და უკვდავი მისიისადმი, რომელიც ჩვენი შვილების სიცოცხლის წყაროს და აღმზრდელს აქვს დაკისრებული.

არ ეწყინებათ ჩვენი უფროსი თაობის ქალებს, თუკი ვიტყვით, რომ მათმა შთამომავლებმა უფრო შორს გადასწიეს ქალის სამოღვაწეო ასპარეზი. არ ეწყინებათ იმის თქმაც, რომ ახალგაზრდა ქალთა თაობა წინამორბედთან შედარებით უფრო სპორტულია ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე სპორტში ჩვენი ქალების ჩაბმა ერთ-ერთი რთული პრობლემა იყო. პირველ სპორტსმენ ქალებს ლამის გმირად შერაცხავდა ხალხი.

საბჭოური ცხოვრების ერთი დიდი მადლი და სიკეთე ისიცაა, რომ ქალი თამამად გამოიყვანა და დააწინაურა ნებისმიერ დარგში, მათს შორის სპორტულ სარბიელზეც. ეს იყო თავის დროზე ჭეშმარიტი სპორტული რევოლუცია. დღეს ეს სიტყვები გვეუცხოება და, ცოტა არ იყოს, ყურს ესამუშება კიდეც, იმდენად ბუნებრივი, ორგანული, ლოგიკური გახდა ქალის მონაწილეობა ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში.

თითქოს ძალიან შორიდან დავიწყეთ საუბარი ქალთა სპორტზე, მაგრამ იგი, განხილული პერიოდი, სულ რაღაც ხუთ ათეულ წელს მოიცავს. რა ცოტა და ამავე დროს რა დიდი დრო გასულა ქალთა სპორტის დაბადება-განვითარებიდან!

ვფიქრობთ, საჭირო არ არის დეტალურად აღვნუსხოთ ის თვალსაჩინო გამარჯვებები, რომლებიც წლების მანძილზე აქვთ მოპოვებული საქართველოს სპორტსმენ ქალებს. საამისოდ მოწინავე წერილი კი არა, სქელტანიანი ტომი დაგვჭირდებოდა. მაგრამ ქალთა სპორტს ჰყავს საუკეთესოთა შორის საუკეთესონი, რომლებიც დღეს თავისებურ ლეგენდად იქცნენ. ისინი ცოცხალი სიმბოლოები არიან ჩვენი გოგონებისთვის, იმათთვის, ვისაც ხვალ მართებს ახალ-ახალი სპორტული მწვერვალების დაპყრობა, ქართული სპორტის განდიდება. აი, ისინიც, ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი ქალები: თამარ ნიკოლაძე, ალექსანდრა ჯაფარიძე, ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი, მედეა ჯუღელი, გალინა შარაბიძე, ნადეჟდა დვალიშვილი, ალისა ასიტაშვილი, თინათინ ლეკვეიშვილი, ქეთევან ლოსაბერიძე, რუსუდან სიხარულიძე... ნებისმიერი ერი იამაყებდა ასეთი რჩეული სპორტსმენი ქალებით, ნებისმიერი ერი თავის „ოქროს წიგნში“ ჩაწერდა მათს სახელებს.

თქვენ ალბათ გაგიკვირდათ, როცა დასახელებულ სპორტსმენთა შორის ვერ იხილეთ ქართული და მსოფლიო ჭადრაკის ორი მშვენება, ქალღმერთ კაისას უსაყვარლესი შვილები ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია. ისინი ცალკე გამოვყავით, რადგანაც ამ ისტორიული მატჩის დარი საჩუქარი წლეულს მსოფლიოში არავის უძღვნია ქალის საერთაშორისო წლისთვის. ეს იყო ერთგვარი დამაგვირგვინებელი აკორდი ულამაზესი დღესასწაულისა, შეჯიბრება, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართველი ქალების მაღალნიჭიერება, მათი გამჭრიახობა და მიზანსწრაფვა. როდის ყოფილა, რომ მცირერიცხოვანი ერის ორ წარმომადგენელს ერთმანეთთან მატჩში გაერკვია მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინის ბედი? განა საგულისხმო და საამაყო არ არის, რომ პირველად ქალთა შორის სწორედ ქართველ მოჭადრაკეს მიენიჭა დიდოსტატის წოდება? ამიერიდან ქალებში დიდოსტატები იქნებიან, მაგრამ პირველ დიდოსტატად სამუდამოდ დარჩა ნონა გაფრინდაშვილი. ახალი შარავანდედით შეიმოსა ჩვენი ხუთგზის ჩემპიონის ჭკვიანი შუბლი.

ჩვენ შეგნებულად ვარიდებთ თავს რესპუბლიკაში ქალთა სპორტის განვითარების ნეგატიური მხარეების ჩვენებას, თორემ ციფრებით შეგვეძლო გადმოგვეცა, რა გვიჩვენა საკავშირო სპარტაკიადის სარკემ. მან დაგვანახა, რომ ჩვენი სპორტსმენი ქალები მიზანსწრაფულად როდი გამოვიდნენ სპარტაკიადის სარბიელზე. ეს პირველ ყოვლისა უნდა აიხსნას ნაკლები მასობრიობით. რამდენი ამოლტილი, საუცხოო სპორტული მონაცემებით დაჯილდოებული გოგონა დღესაც ფიზკულტურისა და სპორტის ასპარეზის მიღმა რჩება. ამაში თანაბრად დამნაშავენი არიან მშობლები, სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები, სპორტსაზოგადოებები...

თუმცა... ახლა ქალის საერთაშორისო წელია და დღესასწაულს უფრო მაჟორული განწყობილება შეეფერება. დაე, ხელახლა აღორძინდეს ჩვენი ქალთა სპორტი, დაე, მდიდრდებოდეს ახალ-ახალი ტალანტებით, მზემოკიდებული, ჯანსაღი, ენერგიული სპორტსმენებითა და ფიზკულტურელებით.

ლია გაბელაია პირველია

ბელგრადი, 10 დეკემბერი. (დეპეშით). ფიგურული ციგურაობის თბილისელმა ოსტატმა ლია გაბელაიამ („განთიადი“, მწვრთნელი ი. ჯაფარიძე) შესანიშნავად იასპარეზა იუგოსლავიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში — ქალთა ერთეულების თანრიგში I ადგილი დაიკავა.

სურათზე: ლ. გაბელაია.

33 საუკეთესო

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ 1975 წლის შედეგების მიხედვით დაასახელა 33 საუკეთესო ფეხბურთელი. აი, ისინიც:

მეკარეები — 1. ა. პროხოროვი („სპარტაკი“), 2. ვ. ასტაპოვსკი (ცსკა), 3. ე. რუდაკოვი („დინამო“, კიევი).

დაცვის ხაზი — 1. ვ. ტროშკინი („დინამო“, კიევი), 2. ვ. კრუგლოვი („ტორპედო“), 3. ს. ნიკულინი („დინამო“, მოსკოვი); 1. მ. ფომენკო, 2. ს. რეშკო (ორივე — „დინამო“, კიევი), 3. ვ. გორბუნოვი; 1. ვ. ზვიაგინცევი (ორივე — „შახტიორი“), 2. ნ. ოსიანინი („სპარტაკი“), 3. ა. მირზოიანი („არარატი“), 1. ე. ლოვჩევი („სპარტაკი“), 2. ვ. მატვიენკო („დინამო“, კიევი), 3. ა. მახოვიკოვი („დინამო“, მოსკოვი).

მინდვრის შუა და შეტევის ხაზი: 1. ვ. ონიშჩენკო („დინამო“, კიევი), 2. ა. მინაევი („სპარტაკი“), 3. ნ. პეტროსიანი („არარატი“); 1 ვ. მუნტიანი, 2. ვ. ბურიაკი (ორივე — „დინამო“, კიევი), 3. ე. მარქაროვი („არარატი“); 1. ა. კონკოვი („დინამო“, კიევი), 2. ვ. სახაროვი („ტორპედო“), 3. ვ. სტარუხინი („შახტიორი“); 1. ვ. კოლოტოვი („დინამო“, კიევი), 2. ბ. კოპეიკინი (ცსკა), 3. მ. სოკოლოვსკი („შახტიორი“); 1. ვ. ვერემეევი („დინამო“, კიევი), 2. ა. ანდრეასიანი („არარატი“), 3. ვ. ფილატოვი („ტორპედო“); 1. ო. ბლოხინი („დინამო“, კიევი), 2. ა. მაქსიმენკოვი („ტორპედო“), 3. დ. ყიფიანი („დინამო“, თბილისი).

მხოლოდ 15 სპორტსმენმა შეინარჩუნა ადგილები შარშანდელ ლაურეატთა შორის.

ტრადიციულ სიაში პირველად შევიდა ერთი გუნდის (კიევის „დინამოს“) 12 ფეხბურთელი, თანაც პირველ ნომრებად დასახელებულია ამ კოლექტივის 8 მოთამაშე.

როგორც ხედავთ, ეს სია უჩვეულო სქემითაა შედგენილი. თავდამსხმელებისა და ნახევარმცველების მინდვრის შუა და შეტევის ხაზის მოთამაშეებად გაერთიანება ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს მიერაა ნაკარნახევი.

[illegible]-75

● პერმი, 9 დეკემბერი. ამ ქალაქის საპატიო მოქალაქეების, მფრინავი-კოსმონავტების პ. ბელიაევისა და ა. ლეონოვის პრიზის გათამაშება ქალთა და ქალიშვილთა 8-კილომეტრიანი, ხოლო ვაჟთა და ჭაბუკთა 20-კილომეტრიანი რბოლებით დამთავრდა. ასპარეზობის ტრასა ერთობ დასერილი იყო და სპორტსმენებისგან, მაღალი ოსტატობის გარდა, ჩინებულ ფიზიკურ მომზადებასაც მოითხოვდა. მოთხილამურე ქალებში ბადალი არ ჰყავდა იუჟნო-სახალინსკელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ვ. ტროპაკს — 28.50. იგი ორ პრიზს დაეუფლა: მანამდე 5 კილომეტრზე შეჯიბრებაშიც აჯობა ყველას — 18.25. ასევე ორჯერ

ვმა (მოსკოვი) — იგი პირველი იყო 20-კილომეტრიან რბოლაშიც (1:05.30) და 15-კილომეტრიანშიც (52.65).

● მოსკოვი, 9 დეკემბერი. მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატები ი. დერიუგინა, ნ. გოვორუხინა, ლ. ევტუშენკო, ა. ზასუხინა, ი. კირილენკო, მ. კუჩინსკაია, გ. კრილენკო, ო. პლოხოვა და ე. შილერი ამ დღეებში იტალიაში მიემგზავრებიან საჩვენებელი გამოსვლებისთვის, რომლებიც „სსრ კავშირის კვირეულის“ ჩარჩოებში გაიმართება. იტალიელებს საბჭოთა ტანვარჯიშის წარმატებებს გააცნობენ გუნდურ ჩათვლაში მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ე. საადი, სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრები ს. კუდინოვა, ლ. კალაჩინსკაია, გ. იაკუნინი, ფ. კულაკსიზოვი და ნ. ნედბალსკი. იტალიურ კლუბებთან ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებენ დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელები, ლენინგრადის „სპარტაკის“ კალათბურთელები, ვოროშილოვგრადის „ისკრის“ ფრენბურთელები, ხოლო ჭადრაკის მოყვარულებთან ერთდროული თამაშის სეანსებს გამართავენ ვ. კოზლოვსკაია და ა. სუეტინი. საპატიო სტუმრად მიწვეულია მიუნჰენის ოლიმპიადის „ოქროს სპრინტერი“ ვ. ბორზოვი.

დღეშა ვარსკვლავთა ქალაქიდან

კოსმონავტები ულოცავენ

თბილისი. მსოფლიო ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილს.

გულითადად გილოცავთ დამაჯერებელ გამარჯვებას, აღფრთოვანებული ვართ, გისურვებთ ახალ წარმატებებს.

სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტები — ორგზის საბჭოთა კავშირის გმირები კუბასოვი, რუკავიშნიკოვი.

მეფეზე იერიშით

საქართველოს ქალთა VIII საერთაშორისო ტურნირის V ტურში, რომელიც გუშინწინ შედგა, მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა.

მ. წერეთელმა ფრანგულ დაცვაში ა. პიხაილიჩის (იუგოსლავია) წინააღმდეგ მშვენივრად გამოიყენა მეტოქის თითქოს უმნიშვნელო შეცდომა. ფიგურის ეფექტური შეწირვით მან მძაფრად დალაშქრა იუგოსლაველი მოჭადრაკის ცენტრში დარჩენილი მეფე და გაიმარჯვა.

მ. ჩიბურდანიძეს მოსკოველ ა. ახშარუმოვას პაიკი მოუგო, მაგრამ ამ უპირატესობის გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდა და მეტოქენი დაზავდნენ.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. თ. ხუგაშვილს გ. პოლანოვასთან (ჩეხოსლოვაკია) ეტლების ენდშპილში ზედმეტი პაიკი აქვს. ზედმეტი პაიკი და მოგების რეალური შანსი აქვს ც. კახაბრიშვილს ა. მიჰელთან (გდრ) გადადებულ პარტიაში. რთულ პოზიციაში შეწყდა ე. კარაკაშ (უნგრეთი) — რ. რაიჰერის (რუმინეთი) შეხვედრა. ნ. გურიელს ნ. იოსელიანთან დაუმთავრებელ პარტიაში ზედმეტი ხარისხი აქვს.

თავისუფალი იყო ც. კობაიძე.

5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ა. მიჰელი — 3 ქულა და 2 გადადებული პარტია, მ. წერეთელი — 2,5, ც. კახაბრიშვილი — 2 (2), ა. ახშარუმოვა — 2 (1).

ლ. ჩერომე,
ტურნირის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

დროს რომ გადააცილეს...

მოჭადრაკე ვაჟთა 43-ე საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირში, რომელიც ერევანში ტარდება, გუშინწინ VII ტური გაიმართა.

ერევნელები დიდი ინტერესით მოელოდნენ ტ. პეტროსიან (მოსკოვი) — რ. ვაჰანიანის (ერევანი) შეხვედრას, მაგრამ მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ავადმყოფობის გამო პარტია არ შედგა.

დაძაბული თამაშის შემდეგ მხოლოდ ხუთი შეხვედრა დამთავრდა. ი. კლოვანმა (რიგა) დროს გადააცილა ს. ფურმანთან (ლენინგრადი), ი. დორფმანმა (ლვოვი) — ლ. ალბურტთან (ოდესა). რა თქმა უნდა, ორივეს წაგება ჩაეთვალა.

ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: ბ. გულკო (მოსკოვი) — მ. ტალი (რიგა), მ. დვორეცკი (მოსკოვი) — ა. ბელიავსკი (ლვოვი) და ე. გელერი (მოსკოვი) — ვ. დოროშკევიჩი (გროზნო).

დაუმთავრებელი დარჩა ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი) — ი. ბალაშოვისა და დ. ბრონშტეინ (ორივე — მოსკოვი) — ო. რომანიშინის (ლვოვი) შეხვედრები.

5,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს გულკო.

„სპორტლოტოს“ მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 10 დეკემბერი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის 47-ე ტირაჟი. აი, იღბლიანი ციფრები:

„სპორტლოტო“ — 4, 9, 21, 29, 40, 49;

„სპორტლოტო-2“ — 1, 5, 7, 18, 43, 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდარბაზოდ დატოვებული სკოლა

ანუ სად იმეცადინონ ბავშვებმა ზამთარში?

ნახშირღელის საშუალო სკოლაში რომ ჩავედით, ძალიან ცუდი ამინდი იყო. იმ დღეებში თერჯოლის რაიონში გადაუღებლად წვიმდა. სკოლის დირექტორმა გ. კახიძემ გვითხრა, ცოტა მოიცადეთ, გაკვეთილი დამთავრდება და ფიზკულტურის მასწავლებელიც შემოვაო. როგორც დირექტორს, ისე ფიზაღზრდის მასწავლებელ ლ. ჯანელიძეს შევატყვეთ, რომ დარბაზში ჩვენი შეყვანა არაფრად ეპიტნავებოდათ. ჩვენც არ დავამალეთ, ეზო დავათვალიერეთ. რა გინდა, აქ რომ არ იყოს: ფეხბურთის მინდორი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები (რა თქმა უნდა, მარტივი), წინაღობათა ზოლი, სახტომი ორმო, ღერძი და ორძელიც კი. ეზოში ღერძისა და ორძელის დანახვა კი ძალიან გაგვიკვირდა. ჰოდა, დაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო და ჯანელიძემაც ბოლოს და ბოლოს გაგვანდო „საიდუმლო“ — დარბაზი არა გვაქვსო.

მასწავლებელი თურმე მართალი იყო... დარბაზი კი ჰქონიათ, მაგრამ ისეთი, რომ შევედით, ორად მოვიკეცეთ. საოცრად დაბალ, პატარა, ვიწრო ოთახში ერთი მაგიდა და ზედ მიბჯენილი ორი გრძელი სკამი ძლივს ეტეოდა. კედლებზე ეკიდა ფორმები, იატაკზე ეწყო კედები, ბურთები...

მიუხედავად ამისა, სკოლას წლეულს 75-ის ნაცვლად მშდ კომპლექსის 83 ნიშნოსანი მოუმზადებია. I საფეხურის ნორმატივები ჩაუბარებია 50, ხოლო II საფეხურისა — 33 მოსწავლეს. მუშაობს მძლეოსნობის, კალათბურთის, ფრენბურთის, ჭადრაკის სექციები. 1974 წელს რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადაში სკოლის წარმომადგენლებს 16 კოლექტივს შორის V ადგილი დაუკავებიათ. ამავე სპარტაკიადაში ნახშირღელელები შაშსა და ტყვიის სროლაში I ადგილებზე გასულან, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში მეორენი ყოფილან. მშდ კომპლექსის ნორმატივები ხუთწლედის საერთო ანგარიშით 230-ის ნაცვლად 243 ბავშვს ჩაუბარებია. წლეულს 60 თანრიგოსნის ნაცვლად მომზადებულია 78. მართლაც საოცარია მსგავსი შედეგები ასეთ პირობებში. ამაში, როგორც ლ. ჯანელიძემ გვითხრა, უდიდესი წვლილი მიუძღვის სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს ლ. ჯოშიაშვილს.

— მე აქ ახალი კაცი ვარ და ჯერ მხოლოდ ვეხმარები მას, — გვითხრა ლ. ჯანელიძემ. შემდეგ კი დასძინა: — ეგაა, რომ ძალიან ვიტანჯებით ჩვენც და მოსწავლეებიც. როგორც კი მზე გამონათებს, ბავშვები მაშინვე ეზოში გაგვყავს, გვინდა ყველაფერი მოვასწროთ. „დარბაზში“ კი მხოლოდ თეორიული მეცადინეობის ჩატარება თუ შეიძლება.

როგორც შევიტყვეთ, ახალ შენობას ჰპირდებიან, მაგრამ მანამდე?

დ. მელიძე,
ლ. ჯიჯინაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
სოფ. ნახშირღელე,
თერჯოლის რაიონი.

უსიხარულო სურათი

დამთავრებული სეზონის კვალდაკვალ

ოქტომბერში ერთ-ერთ სხდომაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სასწავლო-მეთოდურმა საბჭომ შეაჯამა პირველი რესპუბლიკური ჯგუფის გუნდებში ნორმატივების ჩაბარების (შემოწმება ტესტების მიხედვით) შედეგები.

ამ ბოლო ხანს რესპუბლიკის ფეხბურთის სამმართველო, ფედერაციის პრეზიდიუმი, რომელიც უკვე გაეცნო მასობრივი ფეხბურთის მდგომარეობას აჭარაში და ქუთაისში, განსაკუთრებით კი სასწავლო მეთოდური საბჭო, დაინტერესებას იჩენენ ჩვენი სექციური გუნდების (მასობრივი ფეხბურთი) შინაგანი (საწვრთნელი) ცხოვრების მიმართ. სექციური გუნდების საწვრთნელი მუშაობის, ასე ვთქვათ, სამზარეულოში ჩახედვის, ერთგვარი შემოწმების, მეცადინეობის მოწესრიგების გზით ამ კოლექტივებთან კონტაქტის დამყარების ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა ნორმატივების ჩაბარება, რაც ჯერჯერობით რესპუბლიკური ჩემპიონატის მხოლოდ I ჯგუფის გუნდებში ხორციელდება.

უნდა ითქვას, რომ შემოწმებამ ნამდვილად უსიხარულო სურათი გვიჩვენა. საერთო ჯამში პირველი ჯგუფის გუნდები, თუკი სისტემატურად მეცადინეობენ, როგორც ჩანს, მიზანდასახული არ არიან. ამას მოწმობს საერთო დაბალი შედეგები ფიზიკურ მომზადებაში, ტექნიკური ნაკლოვანებები.

საშუალო მონაცემები გუნდებში ცალკეული ნორმატივების მიხედვით ასეთია: ფოთის „კოლხეთი“. 100 მეტრზე რბენა (წამებში) — 12,4, ბურთის დარტყმა სიშორეზე (მეტრებში) — 55,0, ადგილიდან სამხტომი (მეტრებში) — 7,61, ბურთის ტარება ჟონგლირებით (წამებში) — 7,3, დგარებს შორის ბურთის ტარება (წამებში) — 7,1, დაკიდებული ბურთის თავით მიწვდომა (სანტიმეტრებში)— 75. 1000 მეტრზე რბენა (წუთებსა და წამებში) — 3.25, განმეორებითი რბენა 100 მეტრზე (წამებში) — 12,4.

ჭიათურის „მაღაროელი“ (შესაბამისად) — 12,4; 54,0; 7,50; 7,7; 8,3; 70; 3.32; 12,3.

გეგეჭკორის „სალხინო“ — 12,7; 52,0; 7,87; 10,0; 9,1; 72; 3.31; 12,8.

ცხაკაიას „ევრისი“ — 13,0; 52,0; 7,09; 8,8; 10,0; 74; 3.34; 12,9.

სოხუმის „დინამო“ — 13,5; 46,4; 7,34; 8,4; 8,9; 69; 3.33; 13,0.

თბილისის ასპ — 12,9; 54,6; 7,30; 9,1; 8,5; 68; 4.47; 12,8.

თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი — 12,3; 60,6; 7,94; 7,1; 7,3; 76; 3,19; 12,4.

ქობულეთის „შუქურა“ — 12,5; 52,0; 7,90; 8,1; 8,2; 70; 3.36; 12,8.

თბილისის „ლოკომოტივი“ — 13,0; 46,0; 7,06; 9,8; 9,9; 60; 3.41; 12,9.

ზესტაფონის „მეტალურგი“ — 12,9; 50,0; 7,80; 9,0; 7,9; 70; 3.19; 12,7.

ოჩამჩირის „ამირანი“ — 12,6; 49,3; 7,35; 7,3; 7,5; — 3.18; 12,6.

თელავის „კახეთი“ — 12,4; 50,0; 7,48; 7,9; 7,8; 68; 3.35; 12,7.

ტყიბულის „მეშახტე“ — 12,7; 51,0; 7,33; 8,7; 8,2; 77; 3.28; 12,7.

ხობის „კოლხეთი“ — 12,5; 53,7; 7,53; 7,4; 8,0; 69; — 12,5.

თბილისის „განთიადი“ — 12,4; 47,0; 7,80; 7,5; 7,2; 68; 3,27; 12,6.

ყვარლის „დურუჯი“ — 12,5; 52; 7,51; 7,8; 7,7; 71; 3.29; 12,9.

წულუკიძის „იმერეთი“ — 12,5; 48,0; 7,61; 10,9; 9,5; 70; 3.26; 12,9.

პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 12,6; 60,0; 7,53; 8,5; 7,4; 71; 3.31; 12,7.

უნივერსიტეტი — 12,4, 49,0; 6,80; 9,8; 8,2; — 3.50; 12,4.

ხაშურის „იბერია“ — 12,9; 46,0; 7,05; 10,1; 10,2; 68; 3.36; 12,8.

გორის რაიონის „ქართლი“ —13,1; 51,0; 7,31; 10,7; 8,9; 73; 3.25; 12,9,

მთლიანად I ჯგუფში

	100 მ.	დარტყ.	სამხტომი	ბურთით ჟონგლირება	ბურთის დგარებს შორის ტარება	დაკ. ბურთ. თავ. მიწვ.	1000 მ.	100 მ.
საუკეთესო შედეგი	11,7	73,0	9,00	5,3	6,7	84,0	3.02	11,7
საშუალო შედეგი	12,7	51,5	7,56	8,7	8,4	70,5	3.34	12,7
ცუდი შედეგი	14,2	37,0	6,00	14,9	13,0	46,0	5,18	15,2

ასეთ დაბალ შედეგებს მხოლოდ სამარცხვინო შეიძლება ეწოდოს. ისინი მოწმობს, რომ ფეხბურთელებს სრულიად არა აქვთ შესაბამისი ჩვევები და არ მუშაობენ მათი სრულყოფისთვის. ფეხბურთელი, რომელიც 100 მეტრის გარბენას 15,2 წამს ანდომებს, 1000 მეტრისას — 5 წუთსა და 18 წამს, ადგილიდან სამხტომით მხოლოდ 6 მეტრზე ხტება, მხოლოდ 37 მეტრზე გზავნის ბურთს, დაკიდებული ბურთის მისაწვდომად თავის სიმაღლეზე მხოლოდ 46 სანტიმეტრით მაღლა ხტება, ფეხბურთელი არ არის. ყოველ შემთხვევაში, ეს, ვიმეორებთ, მოწმობს, რომ მწვრთნელები სრულიად უგულისყუროდ ეკიდებიან თავიანთ მოწაფეებში ამ ჩვევების სრულყოფას.

საქმე აქ მარტო ნორმატივებში როდია. ჩვენ იმას ვჩივით, რომ ფეხბურთელებმა არ იციან თავით თამაში. რა თქმა უნდა, მარტო დაკიდებულ ბურთზე ვარჯიშით ვერაფერს მიაღწევ, მაგრამ ეს ვარჯიში ნახტომის მოზომვას და თვით ნახტომის გაზრდას უწყობს ხელს. ჩვენი ფეხბურთელების დიდ უმეტესობას კი, როგორც ნორმატივების ჩაბარებამ გვიჩვენა, არ შეუძლია მაღალი ბურთის თავით მიწვდომა და მისი გამოყენება. მათ არ ჰყოფნით არა იმდენად ბიძგების ძალა, რამდენადაც გაანგარიშების უნარი, ჩვევა. ან როგორ შეიძლება ამ ჩვევის წარმატებით სრულყოფა, როცა საქართველოს არც ერთ საფეხბურთო მინდორზე არ არის დგარები ბურთის დაკიდებისთვის და ნორმატივების ჩაბარების დროს ამ მიზნით ან ხეებს ეძებენ, ან რაიმე ამგვარს. ის კი არა, პრობლემად იქცა დგარებიც, ურომლისოდაც შეუძლებელია ბევრი ვარჯიშის ჩატარება ან, უბრალოდ, მოედნის მონიშვნა.

მიუხედავად დიდი ლაპარაკისა, მითითებებისა, მოთხოვნებისა, ბრძანებებისა, ჩვენი სტადიონები და საფეხბურთო მინდვრები დღემდე არ არის უზრუნველყოფილი დამხმარე მოწყობილობით. მთავარი მიზეზი ისაა, რომ ძველებურად მომუშავე ჩვენი მწვრთნელები ვერც ხედავენ ამ მოწყობილობის აუცილებლობას: არც უნდათ და ხშირად არც შეუძლიათ მისი გამოყენება წვრთნის ეფექტურობის ამაღლებისთვის. მწვრთნელები არ იყენებენ და უმეტესად არცა აქვთ რულეტები, წამზომები, ყველაფერი ის, ურომლისოდაც სათანადო დონეზე არ შეიძლება ჩატარდეს წინასწარი წვრთნა, შემოწმდეს ფეხბურთელთა სრულყოფის ხარისხი, ჩვევები, უნარი.

მწვრთნელები კმაყოფილდებიან იმით, რომ ჩაატარებენ რამდენიმე ვარჯიშს აჩქარებით რბენაში, განმეორებითი ბიძგებით, წყვილებში ბურთით ვარჯიშით, კარში მოძრაობიდან დარტყმით ფლანგური გადაცემის ან „კედლის“ გათამაშების შემდეგ და ძირითად დროს უთმობენ ეგრეთწოდებულ „კვადრატებს“ ან ბურთის ორ კარში დევნას. ყველაფერი დანარჩენი, როგორც ისინი ამბობენ, ფეხბურთელებს არ აინტერესებთ. ამ დროს ნორმატივების ჩაბარების შედეგები გვიჩვენებს, რომ საშეჯიბრებო ხასიათის ნებისმიერი ვარჯიში ფეხბურთელებში უდიდეს ინტერესს იწვევს. ამიტომ, თუ მწვრთნელები წამზომით და რულეტით ხელში არ ამოწმებენ შედეგებს, მიზეზი ის როდია, რომ ფეხბურთელებს ბეზრდებათ ეს პროცესი. მთავარი ისაა, რომ თავად მწვრთნელები არ არიან დაინტერესებულნი მათს მიერვე ჩატარებული მუშაობის ნაყოფით.

ეს ნორმატივები, როგორც ჩანს, სრულყოფას მოითხოვს, მაგრამ, რაც მთავარია, საჭიროა, რომ ისინი იქცნენ ყოველდღიური ინტერესის საგნად, იმ ტესტების სახით, რომელთა მიხედვით სისტემატური თვალყურის დევნება მწვრთნელებს საშუალებას აძლევს კონტროლი გაუწიონ ფეხბურთელთა გაწვრთნილობის დონეს და საწვრთნელ მეცადინეობებში შეჯიბრების სულისკვეთება შეიტანონ.

ჩვენი აზრით, თუკი ფეხბურთის სამმართველო დაგვეთანხმება, საჭიროა პრაქტიკაში უფრო ფართოდ დაინერგოს ტესტირება, ურომლისოდაც ფეხბურთელებთან თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით საწვრთნელი მუშაობის ჩატარება შეუძლებელია; გავრცელდეს ტესტების მიხედვით შემოწმებისა და მეცადინეობათა [illegible] „წესი“ რესპუბლიკური პირველობის II ჯგუფზე.

კიდევ მეტიც: თუ აჭარის, აფხაზეთის, თბილისისა და ქუთაისის ფეხბურთის მესვეურები გამოიჩენენ თაოსნობას და ასეთი ამოცანის გადაწყვეტისთვის საჭირო უნარს, მომწიფდა აუცილებლობა, რომ საწვრთნელი მუშაობის უფრო სრულყოფილი ორგანიზაციის ეს ფორმები გავრცელდეს ამ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქალაქების პირველობათა მონაწილე გუნდებშიც. ჩვენ მოხარული ვიქნებოდით ამისა და ყოველმხრივ დავეხმარებოდით მათ.

უკეთესი შედეგების მოპოვებისთვის ფეხბურთი ჩვენს რესპუბლიკაში უფრო სრულყოფილ სასწავლო-საწვრთნელ მუშაობაზე უნდა გადავიდეს. ეს მოითხოვს არა მარტო შესაბამის ცოდნას, უნარს, ახლით დაინტერესებას და სწავლის სურვილს, არამედ დისციპლინასაც, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს გუნდებში საკმაოდ დაბალ დონეზე დგას. აქედან გამომდინარეობს დარღვევათა რიცხვის სიმრავლეც. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს საწვრთნელი დისციპლინა.

როგორც ცნობილია, 1975 წელს ოსტატთა გუნდები გაათავისუფლეს ნორმატივების ჩაბარების აუცილებლობისგან.

რატომ განახორციელა სსრ კავშირის ფეხბურთის სამმართველომ ეს ღონისძიებები? მიზეზი მარტივია: მწვრთნელთა კვალიფიკაცია იმდენად ამაღლდა, იმდენად კარგად აქვთ შეგნებული ყოველდღიური პედაგოგიური კონტროლის მნიშვნელობა, რომ ისინი უკვე აღარ საჭიროებენ წვრილმან მზრუნველობას, შემოწმებას, ჩასულ „რევიზორთა“ მიერ ტესტების მიხედვით ნაჩვენები შედეგების შემოწმებას. საუბედუროდ, ეს პრაქტიკა იწვევდა მხოლოდ ჩასული რევიზორებისთვის თვალის როგორმე ახვევის ცდებს. მაგრამ ვის ატყუებდნენ ამით მწვრთნელები? თავიანთ თავს. ვისთვისაა საჭირო, რომ ტესტები მაქსიმალურად ასახავდეს არსებულ ვითარებას? რასაკვირველია, ისევ მწვრთნელისთვის, ამიტომ ურჩევდნენ მათ თვითონ მოეკიდათ ხელი შედეგების შემოწმებისთვის, ტესტირებისთვის.

ჩვენ რაღა გამოგვივიდა?

ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ოსტატთა მეორე ლიგის მწვრთნელების უმეტესობამ, თუ შეიძლება ითქვას, ნდობა ვერ გაამართლა. იმის მაგიერ, რომ, როგორც მოველოდით, განევითარებინათ, გაეღრმავებინათ, უფრო ქმედითი და სისტემატური გაეხადათ ტესტირება, მათ ნორმატივების ოფიციალურად ჩაბარების გაუქმება ამ საჭირო საქმისთვის თავის არიდების შესაძლებლობად მიიღეს. აი, კიდევ ერთი დადასტურება საწვრთნელ პრაქტიკაში ჩვენი ჩამორჩენილობისა.

როგორ მოვიქცეთ? ჩვენ ვალდებული ვართ დავნერგოთ ანალიტიკური მუშაობის, ტესტირების გზით განხორციელებული პედაგოგიური კონტროლის ჩვევა. ამიტომ რჩება ორი გზა: უნდა დავამუშაოთ ერთიანი ტესტები II ლიგის ოსტატთა რესპუბლიკური გუნდებისთვის, მოვითხოვოთ, რომ ისინი სისტემატურად ატარებდნენ ტესტირებას და წელიწადში ორჯერ აცნობდნენ შედეგებს ფეხბურთის სამმართველოს, ან არადა უნდა აღვადგინოთ ამ კლუბებში ნორმატივების ჩაბარების ძველი წესი. აქ სიტყვა ფეხბურთის სამმართველოს ეკუთვნის.

ერთი რამ ნათელია: ტესტირება და თანამედროვე საწვრთნელი მეცადინეობა ერთმანეთისგან განუყოფელია. ეს უნდა გვესმოდეს. აი, რატომ მოჰკიდა ავტორმა ხელი ამ „მოსაწყენ“ თემას და გადაწყვიტა მკითხველისთვის გადაეცა სასწავლო-მეთოდური საბჭოს გადაწყვეტილება.

ვ. მღივანი.

„პატარა ჩოგნებმა“ - პაექრობა დაამთავრეს

ერევანი, 9 დეკემბერი. (საქდესის კორ.). ევროპის ორგზის ჩემპიონის, მოსკოველი ზოია რუდნოვასა და სსრ კავშირის იუნიორთა ჩემპიონის, ერევნელი ბაგრატ ბურნაზიანის გამარჯვებით დამთავრდა მაგიდის ჩოგბურთში აქ გამართული XI საერთაშორისო ტურნირი.

რუდნოვამ ფინალში სძლია ოდესელ თ. ჩიგვინცევას (3:1), ხოლო ბურნაზიანმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხა პოლონელი ს. ფრონჩიკი.

ქალთა წყვილების ფინალურ მატჩში წარმატებას მიაღწიეს ლ. გრიშინამ და ჩიგვინცევამ, რომლებმაც რუმინელებს ლ. ზახარიას და ე. ფერენცის აჯობეს — 3:1. ვაჟთა წყვილებშიც საბჭოთა სპორტსმენებმა იმარჯვეს: ბურნაზიანმა და ე. ზაკარიანმა ანგარიშით 3:0 სძლიეს თანამემამულეებს ფ. პილოსიანსა და გ. საკიანს.

სტუმრებს მხოლოდ შერეულ წყვილთა თანრიგში ხვდათ წარმატება: ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელებმა ბლანკა შილხანოვამ და იოზეფ დვორაჩეკმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს პოლონელები ჩესლავა ნოვორიტა და ვიტოლდ ვოქნიცა.

თბილისის ტექნიკუმების სპარტაკიადა

საჭიროა მეტი პასუხისმგებლობა

საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადამ თვალნათლივ დაგვანახა ჩვენს რესპუბლიკაში მძლეოსნობის ჩამორჩენა. გვებადება კითხვა: სად გამოვნახოთ ტალანტები, როგორ ვიპოვოთ გამოსავალი?

ჩვენი აზრით, ყურადღება ძირითადად უნდა გავამახვილოთ სასწავლებლებზე, სადაც ახალგაზრდები თავიანთ საუკეთესო ხანას ატარებენ. ძირითადად ისინი უნდა იყვნენ მთავარი დასაყრდენი სპორტსმენთა მომზადებაში.

მაგრამ ხშირად ასე როდი ხდება. ამაში კიდევ ერთხელ დავგარწმუნა თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩატარებულმა დედაქალაქის ტექნიკუმების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულმა შეჯიბრებამ, სადაც სარბიელზე 8 სასწავლებლის 350-მდე სპორტსმენი გამოვიდა.

მძლეოსნობის მასობრიობა ამჯერად უფრო საგრძნობი იყო, რასაც ხელი შეუწყო იმან, რომ, შარშანდელისგან განსხვავებით, წლეულს ჩათვლას ყველანაირი შედეგი იძლეოდა. მონაწილეთა რაოდენობა დებულებით განუსაზღვრელი იყო. ტექნიკუმების ხელმძღვანელებმა ამით ისარგებლეს და ისინიც გამოიყვანეს, ვისაც მძლეოსნობასთან... საერთო არაფერი ჰქონდათ. ზოგმა ისეთი დაბალი შედეგი აჩვენა, რომ ქულათა წიგნში არც კი [illegible] აღნიშნული.

შედარებით კარგად გამოვიდნენ მწვრთნელთა სკოლის სპორტსმენები, რომლებმაც საერთო ჯამში საგრძნობლად გაუსწრეს II ადგილზე გასულ მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მძლეოსნებს.

შეჯიბრებას თავი აარიდეს საწარმოო-ეკონომიურმა, საფინანსო, რკინიგზის ტრანსპორტის, ინდუსტრიულ-პედაგოგიურმა და საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმებმა.

ასპარეზობა კარგად იყო ორგანიზებული.

გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები.

ქალიშვილები. რბენა. 100 და 200 მ. ნ. პოლიაკოვა — 12,4 და 26,8; 400 და 800 მ. ნ. მეზუბენკოვა (ორივე — მწვრთნელთა სკოლა) — 1.03,7 და 2.24,2. ესტაფეტა 4×100 მ. მწვრთნელთა სკოლა — 53,6. სიგრძეზე ხტომა. ნ. გვრიტიშვილი —4,95 მ. სიმაღლეზე ხტომა. ნ. ბედა (ყველა — მწვრთნელთა სკოლა) — 145 სმ. ბადროს ტყორცნა. მ. აბულაძე (პოლიტექნიკური ტექნიკუმი) — 33,04 მ. შუბის ტყორცნა. ვ. ხინჩაგავა (მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი) — 21,50 მ. ბირთვის კვრა. ი. ალექსეევა (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) — 10,55 მ.

ჭაბუკები. რბენა. 100 და 200 მ. თ. ჯოხაძე (მწვრთნელთა სკოლა) — 11,7 და 23,8; 400 მ. მ. კერვალიძე — 52,2; 800 მ. ა. შირინოვი (ორივე — პოლიტექნიკური ტექნიკუმი) — 2.07,2; 1500 მ. ა. მეხედინი (მწვრთნელთა სკოლა) — 4.22,7; 3000 მ. ვ. დევდარიანი (მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი) — 10.24,2; ესტაფეტა 4×100 მ. მწვრთნელთა სკოლა — 47,3; 4×400 მ. პოლიტექნიკური ტექნიკუმი — 3.45,7; სიგრძეზე ხტომა. ი. ტალიზინი (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) — 5,95 მ. სიმაღლეზე ხტომა. გ. ფირანიშვილი (კოოპერაციული ტექნიკუმი) — 170 სმ. სამხტომი. ბ. ფესვენიძე — 13,15 მ. ბადროს ტყორცნა. ა. მეტრეველი (ორივე — მწვრთნელთა სკოლა) — 35,56. შუბის ტყორცნა. ს. კირვალიძე (მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი) — 42,48 მ. ბირთვის კვრა. ა. ლომინაშვილი (მწვრთნელთა სკოლა) — 11,45.

გუნდური შედეგები. მწვრთნელთა სკოლა — 13483 ქულა, მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი — 9168, პოლიტექნიკური ტექნიკუმი — 9117.

ვ. დანელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი

• •

საეჭვო არჩევანი

9 დეკემბერი. თბილისის სპორტის სასახლე.

„კალევი" (ტარტუ) — ასკ (რიგა) 78:62 (54:35).

„კალევი": ტამისტე (20), ლენციუსი (15), კრიკუნი (12), რანდალა (8), პოკლა (7), ფილატოვი (6), ტომსონი (4), ვარული (2), რაბანე (2), ტიკსი (2).

ასკ: ანდრიუნასი (16), გონჩარენკო (10), გავრიში (9), ვიქტოროვი (8), ივანოვი (8), ქვიგურსი (6), ბირზე (3), სტრელისი (2).

მსაჯები: ო. გორბატოვი (კუიბიშევი), პ. ბუივიდასი (კლაიპედა).

• • •

„ურალმაში" (სვერდლოვსკი) — ცსკა 57:116 (25:54).

„ურალმაში": კოვალიოვი (12), მიშკინი (8), გავრილოვი (8), მუდილინი (7), კოროსტილიოვი (6), სმირნოვი (4), ივანოვი (4), სტელანოვი (4), ლომონოსოვი (4).

ცსკა: ერიომინი (20), ავდეევი (19), პეტრაკოვი (19), ჟარმუხამედოვი (16), იახტრემოვი (8), მილოსერდოვი (8), დიაჩენკო (7), ე. კოვალენკო (7), ედეშკო (6), ს. კოვალენკო (4), ლოპატოვი (2).

მსაჯები: ბ. ცარიკოვი (გომელი), ვ. გეშტაუტასი (ვილნიუსი).

• • •

„სტროიტელი" (კიევი) — „დინამო" (თბილისი) 70:66 (32:31).

„სტროიტელი": სალნიკოვი (29), ლუშნენკო (11), ტკაჩენკო (9), მარტინოვი (8), სმოლიაკოვი (6), ბელოსტენნი (4), რიჟიკი (3), ზემლიანუხინი.

„დინამო": პულავსკი (15), ჩიხლაძე (12), მ. ქორქია (10), ბიჭიაშვილი (10), ქარაბაკი (9), ჩხიკვაძე (5), ძიძიგური (2), ნ. ქორქია (2), დერიუგინი (1), ქეიშვილი, მაღალთაძე, ჯგერენაია.

მსაჯები: ო. კამიშევი (მოსკოვი), ი. აპოლონოვი (ლენინგრადი).

— პირველ ადგილს ამ ტურში ჩვენ დავიკავებთ, მეორეს — თბილისის „დინამო".

ცსკა-ს უფროსმა მწვრთნელმა ა. გომელსკიმ ეს სიტყვები ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად 5 დეკემბერს თქვა და მერე რამდენიმეჯერ გაიმეორა.

5 დეკემბერს ჯერ კიდევ არაფერი იყო ნათელი, მაგრამ მწვრთნელი ალბათ იმას გულისხმობდა, რომ სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი თბილისში ხუთივე თამაშს მოიგებდა, „დინამო" კი — ერთით ნაკლებს. სხვათა შორის, ამ მოსაზრებას მომხრე უფრო მეტი ჰყავდა, ვიდრე მოწინააღმდეგე.

თბილისის დინამოელებმა, ავად თუ კარგად, სამი მატჩი მართლაც მოიგეს, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ზოგი რამ საეჭვო გახდა, • მათ შორის კიევის „სტროიტელის" ნამდვილი გეგმები. უკრაინელებმა სტარტზე წაიბორძიკეს — ქულა დაკარგეს „კალევთან", მერე „დაჟეჟილი" მარცხი იწვნიეს ცსკასთან. ახლა ისინი დაკარგულის ანაზღაურებას ცდილობდნენ უმთავრესად ტკაჩენკოს და სალნიკოვის ხარჯზე.

ტკაჩენკო და სალნიკოვი — ეს მართლაც პრობლემაა, რომელიც, ყველასთვის მოულოდნელად, ესტონელებმა საოცრად მარტივად გადაჭრეს. მაგრამ „კალევს" თავისი სტილი აქვს, თავისი ხელწერა. რას დაუპირისპირებდა თბილისის „დინამო" კიეველთა ამ დუეტს? აი, კითხვა, რომელიც ერთადერთ და სწორ პასუხს მოითხოვდა „დინამოსგან". ტკაჩენკოს ნეიტრალიზება „კალევმა" კომპლექსური გზით მოახერხა, სალნიკოვისა კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინდივიდუალური მეთოდით, მტკიცედ გაპიროვნებული „დარაჯის" მეშვეობით. დაახლოებით ანალოგიური გეგმა აირჩია „დინამომ" და, როგორც მატჩის დაწყებითმა ფაზამ ცხადყო, ყველაფერი ზუსტად იყო გათვლილი და გაანგარიშებული.

ბრძოლის პირველი წუთები თბილისელთათვის სასურველი სქემით წარიმართა. ტკაჩენკო მთავარი მოვლენების მიღმა აღმოჩნდა და, თუ იგი მაინც იღებდა ბურთს, მხოლოდ იმისთვის, რომ მაშინვე სხვისთვის გადაეცა. ადგილი ფარქვეშ მან ვერ მონახა და ცენდსაც მთავარი კოზირი ხელიდან გამოეცალა.

აქ ორიოდე სიტყვა სალნიკოვზეც უნდა ვთქვათ. იგი შეუდარებელია შეტევის დასკვნით ფაზაში, როცა კალათში სროლის ჯერი დგება, მაგრამ საამისოდ პლაცდარმი უნდა შეუქმნა, თვითონ ინიციატივას ვერ იჩენს, თანაგუნდელთა ხელშეწყობას კი მაქსიმალურად იყენებს.

ჰოდა, „დინამომ" ეს კოზირიც წაართვა „სტროიტელის" მთავარ ბომბარდირს. ტკაჩენკოს და სალნიკოვის როლების გაუფასურება მყისვე დაეტყო კიეველთა თამაშს. თბილისელებმა ფაქტიურად გატეხეს მეტოქე და დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობა მიიღეს. ახლა მთავარი იყო ამ უპირატესობის შენარჩუნება და გაღრმავება.

ყველაფერი, რაც ზემოთ მოგახსენეთ, პირველი ტაიმის დასაწყისს ეხება. ჯერ კიდევ ბევრი დრო არ იყო გასული, მაგრამ საქმე გაკეთებული ჩანდა, თუმცა კი „დინამომ" ამ უპირატესობის განმტკიცებას დიდი ფიზიკური და ნერვული ენერგია მოანდომა. გუნდის ხელმძღვანელობა მძიმე არჩევანის წინაშე დადგა: მიეცა დაღლილი კალათბურთელებისთვის დასვენების საშუალება, თუ განეგრძო მატჩი მაქსიმალური დატვირთვით. მაგრამ პირველ შემთხვევაშიც კი ნაბიჯი, რომელიც მწვრთნელებმა გადადგეს, საოცრად გაბედული და სარისკო ჩანდა.

ჩვენ არ მოგვეცა მატჩის შემდეგ მწვრთნელებთან საუბრის საშუალება, კითხვა-პასუხის თავი იმ მომენტში მართლაც არავის ჰქონდა, მაგრამ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ისინი ამ გადაწყვეტილებას რაღაც გამართლებას უსათუოდ მოუძებნიდნენ. ფაქტი კი, სამწუხაროდ, სულ სხვას ლაღადებს: ოთხი კალათბურთელის შეცვლამ მოედანზე ძალთა თანაფარდობა აღადგინა. „სტროიტელიც" სწორედ ამას ცდილობდა, ამისკენ ილტვოდა: როგორმე მოეთქვა სული, როგორმე მოეგო დრო გონს მოსასვლელად. და აი, ჩვენ თვითონ მივეცით ამის საშუალება.

ძნელია იმის თქმა, თუ როგორ დამთავრდებოდა გუშინწინდელი ბრძოლა, ეს საბედისწერო შეცვლა რომ არა, მაგრამ ანგარიში 24:11 უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა მასპინძლებს. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მე-6 წუთისთვის ტკაჩენკოს, ლუშნენკოსა და სალნიკოვს 4-4 ჯარიმა ჰქონდათ და „დინამოს" მეტოქის ყოველი ახალი შეცდომისთვის კალათში სროლით უნდა ეპასუხა.

ერთი სიტყვით, შეხვედრის ბედი გადაწყდა თბილისელთათვის ყველაზე ხელსაყრელ მომენტში. და, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, გადაწყდა იგი ფაქტიურად კაპიტულაციის წინაშე მდგარი მეტოქის სასარგებლოდ.

ხოლო, როცა ძალთა თანაფარდობა აღდგა, თბილისელებს ნერვები აღარ ეყოთ ახალი აღმაფრენისთვის. თამაშის დასკვნითი ნაწილის სიუჟეტი ლოგიკურიც იყო და ნაცნობიც: „დინამო" — მდევარი ვერაფრით ვერ დაეწია დაწინაურებულ მეტოქეს, რომელიც უკვე მტკიცედ ფლობდა უპირატესობას და ბრძოლის სადავეებს.

ამ დღის სხვა ორ თამაშს რაიმე კონკრეტული ღირებულება არ ჰქონდა. „კალევმა" ადვილად დაამარცხა რიგის არმიელთა კოლექტივი, ხოლო ცსკა-მ პირდაპირ გაანადგურა სვერდლოვსკის „ურალმაში".

თბილისში ერთი კალენდარული დღეღა დარჩა, სულ სამი მატჩი, რომლებიც საბოლოო სიცხადეს შეიტანს სატურნირო ცხრილში. მოსკოვის არმიელებთან წაგების შემთხვევაშიც კი მასპინძლები ინარჩუნებენ II ადგილზე გასვლის შანსს, ოღონდ მათ „სტროიტელთან" და „კალევთან" წმინდა არითმეტიკული პრინციპით მოუხდებათ ურთიერთობის გარკვევა.

თუმცა, ნუ ავჩქარდებით. როგორც ამბობენ, ბურთი მრგვალია, თანაბარი ძალის მეტოქეთა შეხვედრებში კი ყოველგვარი შედეგი ლოგიკურია.

ნ. გუგუშვილი.

• • •

სურათზე: „სტროიტელისა" და თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

კვარტეტი დაიშალა

კაუნასი, 9 დეკემბერი. ერთდღიანი შესვენების შემდეგ დღეს აქ განახლდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. მეოთხე კალენდარული დღე ყოველგვარი სიურპრიზების გარეშე ჩატარდა.

დაიშალა ლიდერთა კვარტეტი. ეს მოხდა ლენინგრადის სპარტაკელთა მიზეზით, რომლებმაც დამაჯერებლად სძლიეს ვილნიუსის „სტატიბას". სსრ კავშირის ჩემპიონმა მატჩის ბედი შესვენებამდე გადაწყვიტა თავის სასარგებლოდ — 42:26. მეორე ტაიმში მან გაზარდა უპირატესობა და გაიმარჯვა — 78:56.

მინსკის რტი მუდამ უხერხული მეტოქე იყო მოსკოვის „დინამოსთვის", მაგრამ ამჯერად დინამოელებს უკანდასახევი გზა არ ჰქონდათ. ლიდერთა შორის ადგილს ისინი მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში შეინარჩუნებდნენ. სწორედ ამიტომ, მოსკოველები პირველიდან ბოლო წუთამდე მაქსიმალური დატვირთვითა და ყურადღებით თამაშობდნენ. მატჩის შედეგია 76:63 (43:32) „დინამოს" სასარგებლოდ.

ტურის მასპინძელი — ადგილობრივი „ჟალგირისი" თამაშობდა დებიუტანტთან, ერევნის ფისკ-თან. გაიმარჯვეს კაუნასელებმა — 90:73 (55:36).

ტურის ერთ-ერთი მთავარი მატჩი გაიმართება ხვალ ადგილობრივ კალათბურთელებსა და მოსკოვის „დინამოს" შორის. თუ გამარჯვებას სტუმრებმა მიაღწიეს, ისინი შეინარჩუნებენ ლიდერობას, თუ არა და I ადგილზე ლენინგრადის სპარტაკელები გავლენ, რომლებიც, საფიქრებელია, ბოლო მატჩს მოუგებენ მინსკის რტი-ს.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 10 დეკემბრისთვის

თბილისის ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	4	4	0	408—264	4
„დინამო" (თბ.)	4	3	1	293—283	3
„კალევი" (ტ.)	4	2	2	282—311	2
„სტროიტ." (კ.)	4	2	2	289—282	2
ასკ (რ.)	4	1	3	294—330	1
„ურალმ." (ს.)	4	0	4	256—352	0

კაუნასის ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (მ.)	4	3	1	311—280	3
„სპარტაკი" (ლ.)	4	3	1	289—258	3
„ჟალგირ." (კ.)	4	3	1	340—306	3
„სტატიბა" (ვ.)	4	2	2	298—317	2
რტი (მ.)	4	1	3	313—339	1
ფისკ (ე.)	4	0	4	302—353	0

დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისში, ლენინის სახელობის სპორტდარბაზში, თბილისის „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა სათადარიგო შემადგენლობა საკავშირო ტურნირის პირველ კალენდარულ მატჩში შეხვდა მოსკოველ თანაკლუბელებს. როგორც ცნობილია, წლეულს უმაღლესი ლიგის რეზერვი ცალკე ტურნირში არკვევს ურთიერთობას. ამ მატჩების კალენდარს (ყოველი გუნდი თავის მეტოქესთან ორ-ორ შეხვედრას ატარებს) საკავშირო სპორტკომიტეტის სპორტული თამაშების სამმართველო კენჭისყრით ადგენს.

და აი, თბილისის დინამოელებს მოსკოვის თანაკლუბელებთან შეხვედრა შინ მოუხდათ. ბრძოლა იყო უაღრესად მძაფრი და საინტერესო. როგორც სტუმრებმა, ისე მასპინძლებმა სანახაობრივად ლამაზი კალათბურთით მოგვაწონეს თავი.

პირველი ტაიმი მასპინძლებმა მოიგეს — 37:32. შესვენების შემდეგ ბრძოლა გათანაბრდა. მატჩის ბოლო წუთზე ანგარიში იყო 75:75. აი, სწორედ ამ პასუხსაგებ მომენტში კარგად ითამაშა სტუმრების თავდამსხმელმა მოროზოვმა — მისმა ზუსტმა ტყორცნამ გამარჯვება მოსკოვის დინამოელებს მოუტანა — 77:75.

სტუმრებში მოროზოვის (20 ქულა) გარდა შედეგიანი თამაშით გამოირჩეოდნენ კრავჩენკო (15) და აგაპეევი (13). თბილისელთაგან თავი გამოიჩინეს გარუჩავამ (27), გულდედავამ (14) და სინჯარაძემ (13).

დღეს მეტოქეები განმეორებით შეხვდებიან ერთმანეთს.

ც. ფცქიალაძე.

საქართველოს ჩემპიონატი

შედგა გამოტოვებული მატჩები და ამით დამთავრდა 1975 წლის სეზონი.

I ჯგუფი

● უნივერსიტეტი (თბილისი) — ასკ (თბილისი) 0:1. მსაჯი ა. ჰკუასელი (თბილისი).

შეხვედრის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, როცა სტუდენტთა კარში დანიშნული 11-მეტრიანი დარტყმა გოლით დააგვირგვინა არმიელმა დვალიშვილმა.

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:2. მსაჯი ი. ცერცვაძე (სოხუმი).

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს მეგრელაძემ და მუმლაძემ, ხოლო მასპინძელთაგან — გაგუამ და ი. გეგეჭკორმა.

● „იმერეთი" (წულუკიძე) — ასკ (თბილისი) 3:3. მსაჯი ა. დურსუნიში (სოხუმი).

არმიელთაგან თავი გამოიჩინა ოსაძემ — სამივე ბურთი მან გაიტანა. „იმერეთის" მხრივ გოლები გაიტანეს კინწურაშვილმა, ულუმბელაშვილმა და სალინაძემ.

• • •

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია გეგეჭკორის „სალხინოს" თავდამსხმელი მ. გაგუა, რომლის ანგარიშზე 32 გოლი მოდის. მომდევნო ადგილებზე არიან თ. მაღრაძე („მაღაროელი", ჭიათურა) — 26 და ა. დრაჩი („დინამო", სოხუმი) — 25.

ზონალური პირველობა

„ავტომობილისტი" (ჩაქვი) — „ავიატორი" (ქუთაისი) 3:1, „მეშაქრე" (აგარა) — „ქიმიკოსი" (წულუკიძე) 2:1.

ამრიგად, რესპუბლიკური გათამაშების II ჯგუფში გაისად ითამაშებენ ჩაქვის „ავტომობილისტი" და აგარის „მეშაქრე".

საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ავტომობ."	6	3	3	0	18—6	9
„მეშაქრე"	6	2	2	2	7—10	6
„ავიატორი"	6	2	1	3	6—10	5
„ქიმიკოსი"	6	1	2	3	8—13	4

საბოლოო ცხრილი I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მაღაროელი" (ჭიათურა)	42	30	9	3	85—25	69
„დინამო" (სოხუმი)	42	30	7	5	88—55	67
„სალხინო" (გეგეჭკორი)	42	23	10	9	83—46	56
„იმერეთი" (წულუკიძე)	42	16	12	14	60—58	44
„კახეთი" (თელავი)	42	16	11	15	52—36	43
ფიზკ. ინსტ. (თბილისი)	42	16	11	15	70—62	43
პოლიტექ. ინსტ. (თბილისი)	42	15	12	15	74—58	42
„მეშახტე" (ტყიბული)	42	15	11	16	57—54	41
„ივერია" (ხაშური)	42	14	11	17	44—45	39
„ქართლი" (გორის რ-ნი)	42	15	9	18	66—71	39
უნივერსიტეტი (თბილისი)	42	13	13	16	46—63	39
ასკ (თბილისი)	42	15	8	19	63—62	38
„კოლხეთი" (ფოთი)	42	12	14	16	57—53	38
„შუქურა" (კობულეთი)	42	10	18	14	47—59	38
„მარძია" (ასპინძა)	42	13	12	17	52—69	38
„ეგრისი" (ცხაკაია)	42	12	14	16	49—66	38
„ამირანი" (ოჩამჩირე)	42	13	12	17	41—61	38
„დურუჯი" (ყვარელი)	42	13	12	17	44—69	38
„განთიადი" (თბილისი)	42	11	15	16	44—51	37
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	42	14	9	19	45—53	37
„კოლხეთი" (ხობი)	42	11	10	21	50—74	32
„ლოკომოტივი" (თბილისი)	42	10	10	22	41—73	30

დებულების თანახმად, საგაისოდ I ჯგუფი უნდა დატოვონ „განთიადმა", „მეტალურგმა", ხობის „კოლხეთმა" და „ლოკომოტივმა".

ფეხბურთი

შეიქმნება საფეხბურთო კლუბები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა მიიღო მეტად საყურადღებო დადგენილება — 1976 წლიდან საბჭოთა ქვეყანაში ჩამოყალიბდება საფეხბურთო კლუბები. ამ კლუბებში, ოსტატთა კოლექტივების გარდა, შეიქმნება ორი ახალგაზრდული და ჭაბუკთა რამდენიმე გუნდი.

კლუბების შექმნის მთავარი მიზანია გააერთიანოს ოსტატთა კოლექტივების მუშაობა ჭაბუკთა, აგრეთვე, ფიზიკური კულტურის კოლექტივების გუნდებთან. საფეხბურთო კლუბების წევრებად გახდომის უფლება აქვთ ფეხბურთის მოყვარულებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ რომელიმე, მაგალითად, აგიტაციის და პროპაგანდის (აქ უნდა ვიგულისხმოთ სტატიების მომზადება გუნდისა და მისი მოთამაშეების შესახებ, ფეხბურთის მოყვარულებთან შეხვედრათა მოწყობა და ა. შ.) სექტორის მუშაობაში.

საფეხბურთო კლუბის უმაღლესი ორგანო იქნება კლუბის წევრთა საერთო კრება, ხოლო კრებებს შორის პერიოდში — კლუბის საბჭო. მას მუშაობა მოუხდება სპორტული საზოგადოების, უწყების ან დიდი საწარმოს ხელმძღვანელობით.

ყოველ საფეხბურთო კლუბს ექნება ოსტატთა გუნდის შესაბამისი სახელწოდება, საკუთარი ემბლემა, ვიმპელი, საპატიო წიგნი.

5-5 ქულით

ერთდღიანი შესვენების შემდეგ კიევში ხელბურთელ ქალთა გუნდების VI მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი ფინალური შეჯიბრება განახლდა.

გუშინწინ მოედანზე პირველნი რუმინეთისა და უნგრეთის გუნდები გამოვიდნენ. რუმინელები წინა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლების მფლობელნი არიან. უნგრელებს კი ამ შეხვედრამდე არც ერთი ქულა არ ჰქონდათ მოპოვებული. მიუხედავად ამისა, მატჩი საინტერესო გამოდგა და უნგრელების გამარჯვებით დამთავრდა — 11:10 (9:6).

შემდეგ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის კოლექტივები. უმაღლეს დონეზე ეს გუნდები 13-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს: ათჯერ საბჭოთა ხელბურთელებმა გაიმარჯვეს, ორჯერ — ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა, ხოლო ერთი შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

ამ მატჩში მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო. უკვე მე-20 წუთისთვის ისინი „მშრალი" ანგარიშით (9:0) იგებდნენ, 21-ე წუთზე კი ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა პირველი ბურთი გაიტანა. პირველი ტაიმის ანგარიშია 12:2 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ. შესვენების შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ, მაგრამ მხოლოდ ის შეძლეს, რომ სხვაობა შეამცირეს. მატჩის საბოლოო ანგარიშია 16:8.

დღის ბოლო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონები — გდრ-ისა და იუგოსლავიის ეროვნული გუნდები. გერმანელები ჩემპიონები იყვნენ 1971 წელს, ხოლო იუგოსლაველები — ორი წლის შემდეგ. მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ანგარიში რამდენიმეჯერ საყაიმო იყო — 4:4, 5:5, 6:6 და მხოლოდ ტაიმის მიწურულს შეძლეს გერმანელებმა დაწინაურება — 7:6. შესვენების შემდეგ მათ შეინარჩუნეს ეს მინიმალური უპირატესობა და გაიმარჯვეს — 13:12.

ჩემპიონატის ბომბარდირთა სიას სათავეში მოექცნენ საბჭოთა ხელბურთელები ტ. მაკარეცი და ზ. ტურჩინა — 24-24 ბურთი.

10 დეკემბერს დასვენების დღე იყო.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 დეკემბრისთვის

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	2	1	0	43—34	5
გდრ	2	1	0	33—31	5
იუგოსლავია	1	1	1	36—34	3
რუმინეთი	1	0	2	46—34	2
უნგრეთი	1	0	2	28—31	2
ჩეხოსლოვაკია	0	1	2	27—49	1

ვილნიუსში ტურნირი დაამთავრეს

ხელბურთი

VII-XII ადგილებისთვის ითამაშეს გუნდებმა. ბოლო დღეს პოლონელებმა დანიელებს სძლიეს ანგარიშით 16:9 (9:4) და VII ადგილზე დამკვიდრდნენ.

VIII ადგილზე არიან ნორვეგიელები, IX—დანიელები, X—იაპონელები. აშშ-ს ხელბურთელებმა პირველი გამარჯვება იზეიმეს ტუნისელებთან შეხვედრაში — 26:10 (14:3) და XI ადგილზე გავიდნენ. ბოლო ადგილზე ტუნისელები დარჩნენ.

ამ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირები არიან (შესარჩევი მატჩების ჩათვლით) ამერიკელი გ. ფორესტი და იაპონელი ჰ. მატცუსიტა —21-21 ბურთი.

• • •

სურათზე: უტევენ საბჭოთა ხელბურთელები.

(„კომსომოლსკაია პრავდა").



სილამაზე, გრაცია, ოსტატობა

ამ სურათზე აღბეჭდილი სპორტსმენი სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი გახლავთ მხატვრულ ტანვარჯიშში. ეს მაღალი წოდება 17 წლის კიეველმა ირინა დერიუგინამ ისეთ საქვეყნოდ ცნობილ ოსტატებთან ჭიდილში მოიპოვა, როგორიც არიან ომსკელი გ. შუგუროვა, სტავროპოლელი ნ. კრაშენინიკოვა...

აი, ახლაც, ამ რამდენიმე დღის წინათ ჰალეში (გდრ) გამართულ ინტერვიზიის თასის გათამაშებაში დერიუგინამ არა მარტო ქულათა საუკეთესო ჯამი (38,85) დააგროვა მრავალჭიდში, არამედ პროგრამის ყოველ სახეობაშიც გაიმარჯვა (სალტით ვარჯიში — 9,7, ბურთით — 9,7, გურზებით — 9,65, ლენტით — 9,8 ეს იყო ტურნირის ყველაზე მაღალი შეფასება).

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოპოვებული გამარჯვება მით უფრო სასიხარულოა, რომ, ტრადიციისამებრ, ამ საპატიო პრიზის გათამაშებაში სახელმწიფოების აბსოლუტური ჩემპიონები მონაწილეობენ. ამჯერად სარბიელზე გამოვიდნენ გდრ-ის, ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, უნგრეთის, ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის აბსოლუტური ჩემპიონები.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მხატვრულ ტანვარჯიშში საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვ. ბატაენმა თქვა:

— ამ ტურნირს ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით, ვინაიდან ყველა უძლიერესი სპორტსმენისთვის იგი პრაქტიკულად მსოფლიო ჩემპიონატის სანაცვლო შეჯიბრება იყო (როგორც ცნობილია, მადრიდში გამართულ წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში პოლიტიკური მოტივით არ მონაწილეობდნენ მხატვრული ტანვარჯიშის მოწინავე ქვეყნების — სსრ კავშირის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლები). ბრძოლა საინტერესო და დაძაბული იყო. ტანმოვარჯიშეებმა მაყურებელს უჩვენეს კომპოზიციები, რომლებსაც მსოფლიო პირველობისთვის ამზადებდნენ.

თ. ჯოგავა.

ვ. ვოლინის ფოტო.

ჩემპიონი ოკეანის გაღმიდან

ვალ დ'იზერში (საფრანგეთი) დამთავრებულ „პირველი თოვლის კრიტერიუმში" ყველაზე დიდი სენსაცია იყო კანადელ სლალომისტთა ჯგუფის წარმატება სწრაფდაშვების ტრასაზე. ევროპის უძლიერეს მოთხილამურეებს აჯობა კალგარელმა სტუდენტმა, 20 წლის კენ რიდმა.

მისმა გამარჯვებამ უდიდესი ეფექტი გამოიწვია. წინადღით ტრასის შემოწმების დროს ავსტრიელი ფრანც კლამერი ბევრად სჯობდა მეტოქეს, მაგრამ მეორე დღეს სტარტზე გამოსვლის დროს ამ უკანასკნელს უკვე „თვალწინ ჰქონდა" რამდენიმე მაღალი მედეგი და ფინიშამდე 50 მეტრი რომ დარჩა, მან დასაშვებ სისწრაფეს გადააჭარბა და დავარდა...

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ოკეანისგაღმელი სპორტსმენის გამარჯვება ევროპის ტრასაზე სეზონის დამდეგს (ამ დისტანციას ზოგჯერ ასე აღნიშნავენ: ო. ბ. — ფრანგი სლალომისტების ორეიეს და კილის პატივსაცემად, რომლებმაც აქ სისწრაფის რეკორდები დაამყარეს) უაღრესად იშვიათი შემთხვევაა.

3300-მეტრიანი ტრასის გავლას რიდმა 2.04,97 მოანდომა. მეორე იყო იტალიელი ხ. პლანკი — 2.05,50, მესამე — შვეიცარიელი ბ. რიუსი — 2.05,62. უძლიერესთა ათეულში შევიდნენ რიდის თანაგუნდელები დ. ირვინი, დ. ჰარტერი და ს. პოდბორსკი.

ევროპელებმა რევანში აიღეს გიგანტური სლალომის ტრასებზე. აქ უძლიერესი აღმოჩნდა გ. ტონი (იტალია) — 3.23,36 (ორი ცდის ჯამი). მას ოდნავ ჩამორჩა შვედი ი. სტენმარკი — 3.23,66. იტალიელი პ. გროსის შედეგია 3.24,77. ალპურ ორჭიდში გაიმარჯვა ტონიმ.

ქალთა შეჯიბრებაში შვეიცარიის სამთომოთხილამურეებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს. ამჯერად წარმატება იზეიმა ლ. მორეროდმა, რომელმაც გიგანტური სლალომის ტრასის გავლას 1.16,50 მოანდომა. მეორე იყო რ. მიტერმაიერი (გფრ) — 1.17,37, მესამე — მ. კაზერერი (ავსტრია) — 1.17,50

„სოვეტსკი სპორტი".

„250 კილოგრამი ილუზია აღარ არის"

ბერლინი, 9 დეკემბერი. (საკდესი). მხოლოდ ცხრა დღეს იარსება გდრ-ის ძალოსნის გ. ბონკის მსოფლიო რეკორდმა. ამ ათლეტმა 246,5 კგ წონის შტანგა აჰკრა. ვ. ალექსეევმა კანადაში გამართულ წინაოლიმპიურ შეჯიბრებაში დაიბრუნა რეკორდი, როცა 247,5 კგ დაძლია. „მე ვულოცავ ალექსეევს ამ წარმატებას, — განუცხადა პრესის წარმომადგენლებს გ. ბონკმა. — ვიცოდი, რომ იგი შეძლებდა ჩემი მიღწევის გაუმჯობესებას. ჩემი აზრით, აკვრაში 250 კილოგრამი ამიერიდან ილუზია აღარ არის."

გ. ბონკმა თავისი გეგმების შესახებ თქვა, რომ მისი მთავარი მიზანია მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში წარმატებით მონაწილეობა, ხოლო „გზად" იგი ისურვებდა კიდევ რამდენიმე რეკორდის დამყარებას. „მიზნის მიღწევის შანსი სულ მალე მომეცემა, — აღნიშნა ბონკმა. — ექვს დღეში შვერინში ძალოსანთა ტურნირი იწყება".

მარშრუტი გამოცხადდა

მზადება მშვიდობის 29-ე ველორბოლისთვის

პრაღა. (საკდესი). აქ მოეწყო მშვიდობის 29-ე ველორბოლისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია. ჟურნალისტებს გამოუცხადეს, რომ რბოლა სტარტს აიღებს 1976 წლის 8 მაისს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში. ველორბოლის 1992-კილომეტრიანი ტრასა დაყოფილია 14 ეტაპად.

ველოსიპედისტები ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე გაივლიან 657, პოლონეთში — 686, გდრ-ში — 649 კილომეტრს.

ტრასაზე ჩატარდება ორი საათიანი რბოლა: პირველი — მეშვიდე ეტაპზე ვარშავაში და მეორე — მეთოთხმეტეზე — ფორსტიდან კოტბუსამდე.

ველორბოლის ფინიში 24 მაისს მოეწყობა ბერლინში.

პრეს-კონფერენციაზე დაასახელეს ამ ასპარეზობისთვის ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კანდიდატები: ბარტონიჩეკი, ბარტოლშიჩი, დვორჟაკი, გალიკი, გარსტკა, გრაზდირა, ჰენკე, კალიში, კონეჩნი და პრჰალი.

ფედერაციამ დაასახელა უძლიერესები

თბილისელი ნ. კურტანიძე საუკეთესოთა შორის

სსრ კავშირის წყალბურთის ფედერაციამ 1975 წლის სეზონის შედეგების მიხედვით დაასახელა ქვეყნის 21 უძლიერესი წყალბურთელი. აი, ვინ შევიდა ამ სიაში:

მეკარეები: ა. კლებანოვი (1952 წელს დაბადებული), „ბურევესტნიკი" (მინსკი); გ. სკობუნი (1953), წკფ (ბაქო); ა. ზახაროვი (1954), „დინამო" (კიევი).

მცველები: ა. დრევალი (1944), უნივერსიტეტი (მოსკოვი); ა. დოლგუშინი (1946), სსფ ცსსკ (მოსკოვი); ვ. რომანჩუკი (1950), უნივერსიტეტი (მოსკოვი); ა. გორშკოვი (1952), „დინამო" (ალმა-ათა); ვ. აკიმოვი (1953), სსფ ცსსკ (მოსკოვი); ვ. სიდორეევი (1954), „დინამო" (მოსკოვი).

მოძრავი თავდამსხმელები: ა. ბარკალოვი (1946), „დინამო" (კიევი); ნ. მელნიკოვი (1948), უნივერსიტეტი (მოსკოვი); ვ. როჟკოვი (1954), „დინამო" (კიევი); ვ. პუშკარიოვი (1941), უნივერსიტეტი (მოსკოვი); ს. კოტენკო (1956), „დინამო" (ალმა-ათა); ვ. ვანიუშინი (1951), წკფ (ბაქო).

პოზიციური თავდამსხმელები: ა. კაბანოვი (1948), სსფ ცსსკ (მოსკოვი); ა. როდიონოვი (1949), „დინამო" (მოსკოვი); ნ. მშვენიერაძე (1952), უნივერსიტეტი (მოსკოვი); ს. რუდაკოვი (1954), „მეხნატი" (ტაშკენტი); ნ. კურტანიძე (1951), „დინამო" (თბილისი); ვ. კრივკო (1951), „სპარტაკი" (ვოლგოგრადი).

საგზურს მოპოვება უნდა

ბუდაპეშტი. (საკდესი). როგორც მტი-ს სააგენტო იუწყება, ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიადაში მხოლოდ სამი უნგრელი სპორტსმენის მონაწილეობას ვარაუდობენ. სამივე ფიგურისტია. ესენი არიან ლასლო ვაიდა (V ადგილი ევროპის ჩემპიონატში, IX — მსოფლიო პირველობაში), აგრეთვე, მოცეკვავეთა წყვილი კრისტინა რეგოცი და ანდრაშ სალაი (VI ადგილები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში).

მტი აღნიშნავს, რომ ოლიმპიადაში უნგრელ ჰოკეისტთა და მოთხილამურეთა მონაწილეობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. რაც შეეხებათ მოციგურავეებს, მათ კიდევ აქვთ ინსბრუკის საგზურების მოპოვების შანსი სეზონის პირველ შეჯიბრებებში.

კიეველთა წაგება

ლიეჟი, 10 დეკემბერი. ადგილობრივმა „სტანდარდმა" აქ გამართულ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ანგარიშით 2:1 დაამარცხა კიევის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი.

ბურთები გაიტანეს პერსონსმა (მე-6 წუთზე), ბლოხინმა (11) და გარომ (39).

„სკლესენის" სტადიონზე ამ თამაშის საყურებლად დაახლოებით 10 ათასმა კაცმა მოიყარა თავი.

გამარჯვების მიუხედავად...

სოჭი, 10 დეკემბერი. უეფა-ს თასის გათამაშების განმეორებითს მერვედფინალურ მატჩში დღეს აქ მოსკოვის „სპარტაკმა" ანგარიშით 2:0 სძლია „მილანს", მაგრამ ტურნირს გამოეთიშა, ვინაიდან იტალიელ ფეხბურთელებთან პირველი თამაში მათს მინდორზე წააგო — 0:4.

ბურთები გაიტანეს პაპაევმა (61-ე წუთზე) და ლოვჩევმა (84).

ფეხბურთი '75

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ა. ჯაფარიძის სახელობის ალპურ კლუბში (ლენინის ქ. № 37, კიროვის სახელობის პარკი) გაიხსნა გეოგრაფიული საზოგადოების VI საკავშირო ყრილობისადმი მიძღვნილი საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაციის საერთაშორისო გამოფენა.

გამოფენა ღიაა ყოველდღე, 12-დან 17 საათამდე.

ИНДЕКС 664.. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14. უე 14277